PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას სსიპ პროფესიული კოლეჯი „ოპიზარის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

ეკატერინე პატიეშვილი

თბილისი, 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]

სახე: [redacted]

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური*

☐ არაგეგმიური

*მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის პირველი აგვისტო №653190 ოქმი), სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 დეკემბრის N1200415 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დოკუმენტაციის შესწავლის გზით სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ა.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, ასევე დამატებით მოითხოვა საჭირო დოკუმენტები და მათი შესწავლაც მოახდინა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში („თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ) მომზადებული დასკვნის თანახმად, ინდიკატორი 1.2.1.3 - სტრატეგიულ გეგმა (2019-2025წ.წ.) არ მოიცავს სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს, რაც იწვევს ***ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დარღვევას.*** *შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტებმა გამოავლინეს, რომ დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა მოიყვანა 1.2.1 კომპონენტის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.*

ექსპერტებმა შეისწავლეს 1.2 კომპონენტის შეფასებისთბის საჭირო დოკუმენტაცია და ზემოაღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც ***„სრული შესაბამისი“.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ავტორიზაციის 1-ელ სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები

1) დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი მიზნის „ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება“ აქტივობა -„პერსონალის საჭიროებების განსაზღვრა. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა. პერსონალის საჭიროებების მიხედვით გადამზადება“ - განსაზღვრული იყო მხოლოდ 2020 წელს;

   ასევე მეორე სტრატეგიული მიზნის „სწავლების ხარისხის გაუმჯობესება“ აქტივობა „პროგრამების განხორციელების არსებული შეფასების სისტემის დახვეწა“ განსაზღვრული იყო მხოლოდ 2020 წლისთვის, აქტივობა „პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა“ არ იყო განსაზღვრული 2020-2021 წლისთვის, ხოლო აქტივობა „სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა“ განსაზღვრული იყო მხოლოდ 2019,2020 და 2025 წლისთვის.

   რეკომენდირებულია დაწესებულების წარმომადგენლებმა გადახედონ სტრატეგიულ გეგმას და შეიტანონ ცვლილებები, დაწესებულებაში მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ეს პროცესები და არ იყოს გაწერილი ერთ კონკრეტულ წელზე.

2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში რიგ შემთხვევებში ხდება ამოცანებისა და აქტივობების დუბლირება. რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ შესაბამისი ფორმულირებით ჩამოყალიბდეს ამოცანები და აქტივობები, რომ არ მოხდეს მათი დუბლირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას; დაწესებულების მიერ განსაზღვრულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს გეგმების შემუშავებისას და შეფასებისას. ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული წესის შესაბამისად ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება და მასში ცვლილების შეტანა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის ან/და რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს; კოლეჯიდან დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სახით ექსპერტებმა მიიღეს 2 დოკუმენტი, რომელსაც ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიული გეგმა. ეს დოკუმენტებია: 2014-2021 წლების სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტრატეგია და სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები საქართველოს ოთხ შერჩეულ რეგიონში; ექსპერტებმა შეისწავლე წარმოდგენილი დოკუმენტები, მათში იკვეთება სამცხე ჯავახეთის პერსპექტიული დარგები, ასევე რეგიონში პროფესიული კადრების ნაკლებობა, ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადება და პროფესიული განათლების ორიენტირება რეგიონის საჭიროებებზე. დაწესებულების სტრატეგიულ გეგმა ითვალისწინებს წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილ რეგიონის საჭიროებებს.

3. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება დაგეგმვისას განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. წარმოების დროს ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების 7 წლიან (2019-2025წწ) განვითარების გეგმა, რომელშიც განხორციელდა ცვლილება წინა ადმინისტრაციული წარმოების შემდეგ: წინა წარმოების დროს სტრატეგიული განვითარების გეგმა არ მოიცავდა სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს, რაც იწვევდა ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დარღვევას. ექსპერტთა შეფასებით, მიმდინარე წარმოების დროს, სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია 1.2.1 კომპონენტის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნებთან. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია მისიასთან თავსებადი ძირითადი მიზნები და ამოცანები, ამოცანების მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები,შესრულების ინდიკატორები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები და აქტივობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია აგრეთვე ინფორმაცია სტრატეგიული გეგმის შექმნის საფუძვლების, კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზის და სიტუაციური ანალიზის შესახებ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგგმა შედგება ხუთი მიზნისგან:

1) ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
2) სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
3) ინფრასტრუქტურის განვითარება;
4) ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება;
5) კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა.

თითოეული მიზანი შედგება ამოცანებისგან. რიგ შემთხვევებში ხდება ამოცანებისა და აქტივობების დუბლირება, რიგ შემთხვევაში კი ამოცანა უფრო აქტივობის ჭრილშია განხილული, ვიდრე ამოცანის. <u>რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ შესაბამისი ფორმულირებით ჩამოყალიბდეს ამოცანები და აქტივობები, რომ არ მოხდეს მათი დუბლირება.</u>

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი მიზნის „ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება“ აქტივობა -„პერსონალის საჭიროებების განსაზღვრა. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა. პერსონალის საჭიროებების მიხედვით გადამზადება“ - განსაზღვრული იყო მხოლოდ 2020 წელს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ასევე მეორე სტრატეგიული მიზნის „სწავლების ხარისხის გაუმჯობესება“ აქტივობა „პროგრამების განხორციელების არსებული შეფასების სისტემის დახვეწა“ განსაზღვრული იყო მხოლოდ 2020 წლისთვის, აქტივობა „პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა“ არ იყო განსაზღვრული 2020-2021 წლისთვის, ხოლო აქტივობა „სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა“ განსაზღვრული იყო მხოლოდ 2019,2020 და 2025 წლისთვის.

<u>რეკომენდირებულია დაწესებულების წარმომადგენლებმა გადახედონ სტრატეგიულ გეგმას და შეიტანონ ცვლილებები, დაწესებულებაში მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ეს პროცესები და არ იყოს გაწერილი ერთ კონკრეტულ წელზე.</u>

მიმდინარე წარმოების დროს ექსპერტებმა შეისწავლეს 2020 წლის სამოქმედო გეგმა.წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო განსახორციელებელი აქტივობები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები, თუმცა არ იყო განსაზღვრული საჭირო რესურსები. აღსანიშნავია რომ გეგმას მოქმედების ვადა ეწურებოდა 2020 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად დაწესებულებამ დამატებით გამოგზავნა კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის ფორმა, რომლითაც იხელმძღვანელებს 2021 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის ფორმაში განსაზღვრულია: სტრატეგიული მიზანი /ქვემიზანი, ამოცანები, აქტივობები, შესრულების პერიოდი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები და შესრულების ინდიკატორი ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის დამტკიცებისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამუშაო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი-დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N73 24.08.2018;
- უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N41 21.09.2020 სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი ცვლილების შესახებ;
- უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N94 25.12.2020 სამოქმედო გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტრატეგია;
- სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები საქართველოს ოთხ შერჩეულ რეგიონში;
- დაწესებულების მისია;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ექსპერტებმა შეისწავლეს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი და კოლეჯის დირექტორის ბრძანება, რომლითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით მოხდა ცვლილების შეტანა სტრატეგიულ გეგმაში; სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი წევრებით: კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე,იურისტი, მთავარი ბუღალტერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი,შესყიდვების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი. ექსპერტებმა შეისწავლეს ანგარიში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის 6 თვის შესრულების შესახებ, რომელშიც მოცემულია კოლეჯ „ოპიზარის“ 2020 წლის გეგმის პირველი ექსი თვის შესრულების შეფასება: ანგარიში იძლევა ინფორმაციას თუ რომელი აქტივობაა სრულად შესრულებული, რომელი უმეტესწილად ან ნაწილობრივ და რომელი ვერ შესრულდა დაწესებულების მიერ. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელშიც მოცემულია სრულყოფილი ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე; დაწესებულების მიერ შემუშავებულია „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, წესში გაწერილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისა და შესრულების პროცესის შეფასების კრიტერიუმები, ამ კრიტერიუმების შესაბამისად ხდება გეგმების შესრულების შეფასება.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით კოლეჯში დასაქმებული პირების მიერ წელიწადში ორჯერ, მეორე და მეოთხე კვარტალის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მომზადება. კოლეჯის დირექტორი განიხილავს ანგარიშებს დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში შემოწმების მიზნით და ამოწმებს გეგმების შესრულებას (კრიტერიუმების მიხედვით). კვარტალური და შემაჯამებელი ანგარიშების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს. კოლეჯის დირექტორი შემაჯამებელ ანგარიშებს წარუდგენს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და 2020 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვის შესრულების ანგარიში, ასევე დირექტორის ბრძანებები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შესახებ.

3. ექსპეტრტთა შეფასებით სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განთავსებულია დაწესებულების ვებგვერზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამუშაო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი-დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N73 24.08.2018;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N42 22.07.2020 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N61 21.09.2020 სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- 2020 წლის წლიური სამოქმედო გეგმის 6 თვის შესრულების ანგარიში;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N94 25.12.2020 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულების სამოქმედო გეგმა http://opizarivet.ge/wp-content/uploads/2020/06/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf
- 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში http://opizarivet.ge/wp-content/uploads/2020/06/2019-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

29.01.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---